ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N 5

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთი - სოფელი ნიგვზიანი, არჩეულის მოსახლეობა

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 20. 06. 2023 წელი. 14:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესიკ ტაბიძე,** კომისიის წევრები: **ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე.** მერის წარმომადგენელი ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში **ირაკლი გუჯაბიძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ია ბარამიძე,** სოფლის მოსახლეობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა სოფელის მოსახლეობასთან, ჯუნეწრის სკვერისთვის დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულის მოსახლეობამ, რომლებიც ითხოვენ, რომ არჩეულში არსებულ ქუჩას მიენიჭოს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული თამაზ ტყეშელაშვილის სახელი, რომელიც დაიბადა 1970 წლის 18 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ არჩეულში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პროფსასწავლებელში. თამაზი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი კაცთმოყვარე ბუნებით. ძალიან თბილი, ჩუმი, პატიოსანი, კეთილი და მეგობრებსა და ახლობლებზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა იყო. იბრძოდა აფხაზეთში. მიუხედავად ბრძოლის დროს მიღებული ტრავმისა, ფრონტის ხაზი არ მიუტოვებია. ის დაიღუპა 1993 წლის 24 სექტემბერს. სამწუხაროდ, მხოლოდ 2019 წლის 17 მარტს მოხერხდა მისი მშობლიურ სოფელში ჩამოსვენება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, იმ ქუჩას, სადაც დაიბადა და გაიზარდა თამაზ ტყეშელაშვილი, ეწოდოს მისი სახელი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სულ მალე ნიგვზიანში გაიხსნება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი, რომელსაც აუცილებლად მიანიჭებენ თამაზ ტყეშელაშვილის სახელს, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ მისი გმირობის შესახებ.

შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი **ნინო მშვიდობაძე** და აღნიშნა, რომ ასეთი გმირების სახელი აუცილებლად უკვდავყოფილი უნდა იქნეს, რათა მათ გმირობაზე აღიზარდონ მომავალი თაობები.

შეხვედრის მონაწილეთაგან აზრი გამოთქვეს: ავთანდილ გოგიჩაიშვილმა, ზოია ტუღუშმა, გიორგი აფხაზავამ და ხვიჩა ტუღუშმა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ მხარს უჭერენ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას, რასაც შეხვედრის ყველა მონაწილე დაეთანხმა. მათ ასევე მხარი დაუჭირა მერის წარმომადგენელმა - **ირაკლი გუჯაბიძემ.**

გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები, რათა სოფელ არჩეულში ის ქუჩა, სადაც დაიბადა და გაიზარდა თამაზ ტყეშელაშვილი იყოს მისი სახელობის.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /**გიორგი ხელაძე**/